პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1977
შაბათი
1
ოქტომბერი
№ 230
(16970)
ფასი
2 კაპ.
1977

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ საბჭოთა საქართველოს მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა და ინტელიგენცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მეგრძოლ რაზმის — რესპუბლიკის კომპარტიის ხელმძღვანელობით ენერგიულად, შემოქმედებითს ენერგიას მოახმარენ კომუნისტურ მშენებლობაში ახალ წარმატებათა მოპოვებას, ღირსეულ წვლილს შეიტანენ სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ჩვენი საბჭოთა სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის საერთო-სახალხო ბრძოლაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის
1976 წლის ივნისის დადგენილებიდან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოხსენება

„საქართველოს პარტიული ორგანიზაციის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ"

ამას წინათ გამართულმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეშვიდე პლენუმმა დაამტკიცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოხსენება „საქართველოს პარტიული ორგანიზაციის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ" და რესპუბლიკის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს წინადადება მისცა განიხილონ იგი საანგარიშო-საარჩევნო პარტიულ კრებებზე, რომლებიც ახლა მიმდინარეობს.

ქვემოთ ქვეყნდება მოხსენების ტექსტი.

პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების, დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპების, შინაპარტიული დემოკრატიის შემდგომი განვითარებისა და ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების საქმიანობის თაობაზე კომუნისტების ფართო ინფორმირების შესახებ სკკპ XXV ყრილობის მითითებათა შესაბამისად, პარტიული კრებების, როგორც კომუნისტთა აღზრდის სკოლის, როლის შემდგომი გაძლიერების მიზნით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია გააცნოს რესპუბლიკის პირველადს პარტორგანიზაციებს, თუ როგორ სრულდება საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილება, რომელიც მიღებულია ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ინიციატივით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს რწმენას, რომ ეს მოხსენება პირველადი პარტორგანიზაციების პარტბიუროებისა და მდივნების საანგარიშო მოხსენებასთან ერთად ხელს შეუწყობს, ჯერ ერთი, სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში შრომითი კოლექტივების მიერ მოპოვებული წარმატებების გაწმტკიცებას, მეორე ხუთწლედის დავალებათა შესრულებას. ხოლო, მეორე მხრივ, კომუნისტთა კორპორაციას გაამახვილებს ჯერ კიდევ გადაუწყვეტელ საკითხებზე, ა. ი. შეალებს მისცენს ნათ ქმედითი ღონისძიებანი შიდაშუამონ მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის. დონის ასამაღლებლად, პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის გასაუმჯობესებლად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აზრით, პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი ასეთი უშუალო მიმართვის ფორმა შეესაბამება პარტიის მოთხოვნებს, რომ თავისი პოლიტიკის კარდინალური საკითხები ყველა კომუნისტის განსახილველად გამოიტანოს. მათი აზრისა და შეხედულებების გამოვლენა ამის თაობაზე, თუ როგორ სრულდება პრაქტიკულად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, რა ნაკლოვანებანი გვაქვს კიდევ, რა უნდა გავაკეთოთ, დაეხმარება მათ ყოველმხრივ შეიფასონ განვლილი ეტაპი და სწორად განსაზღვრონ მომავლის ამოცანები.

როგორც ცნობილია, 1973 წლის შემოდგომაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საოლქო, საქალაქო და რაიონული პარტორგანიზაციების კონფერენციებზე ინფორმაცია გააკეთა იმის შესახებ, თუ როგორ სრულდებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე. ახლა ცენტრალური კომიტეტი მოხსენებას აკეთებს უშუალოდ პირველად ორგანიზაციებში. ეს ნაბიჯი შეესაბამება ჩვენი დროის სულისკვეთებას, პარტიის პროგრამისა და წესდების სულისკვეთებას, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის სულისკვეთებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებულია, რომ ამ მოხსენების განხილვა ხელს შეუწყობს მასების, უპირველეს ყოვლისა კომუნისტების აქტიურობის გაძლიერებას, დარაზმავს მათ უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების გადასაწყვეტად. ამრიგად, კიდევ უფრო გაიზრდება პირველადი პარტორგანიზაციების, როგორც პარტიული საზოგადოებრივი აზრის გამომხატველის როლი, გაძლიერდება კომუნისტთა პასუხისმგებლობა პარტიის საქმისადმი, მისი პოლიტიკის, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის, ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის კონკრეტულ საკითხებზე მისი მითითებების განხორციელებისათვის.

ამას მოითხოვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილება საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ, რომელშიც ხაზგასმულია, რომ პარტიულმა კომიტეტებმა კვლავაც დაუჭიროს ყველა ინიციატივა ფართოდ გაანალიზოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმზე, რომელიც 1976 წლის 23-24 ივლისს გაიმართა. პლენუმმა განიხილა და მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების ძირითად ორგანიზაციულ-პოლიტიკურ ღონისძიებათა ვრცელი გეგმა. ეს დადგენილება განიხილეს აგრეთვე პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პლენუმებზე, რესპუბლიკის ყველა პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში, რომლებმაც ასევე დაამტკიცეს ხანგრძლივი პერიოდის ღონისძიებათა შესაბამისი გეგმებიც.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილების დებულებებისა და დასკვნების რეალიზაციის პროგრამა, რომელიც ცენტრალური კომიტეტის III პლენუმმა დამტკიცა, ძირითადად წარმატებით სრულდება. ამას, უდავოდ, ხელი შეუწყო იმნაცა, რომ რესპუბლიკის მშრომელთა ბრძოლა ამ პროგრამის შესრულებისათვის დაემთხვა საბჭოთა ხალხის ცხოვრების ღირსშესანიშნავ მოვლენებს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისთვის მზადებას და სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ყურადღებას მიაპყრობს იმ ფაქტს, რომ რესპუბლიკა ერთ სულ მოსახლეზე საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის წარმოებით საშუალო-საკავშირო დონეს ჩამორჩება. ხაზგასმულია, რომ საჭიროა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითად მიმართულებებში დასახული ყველა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლის უთუო შესრულებასთან ერთად უზრუნველყოთ რესპუბლიკის საწარმოო ძალების უფრო სწრაფი განვითარება მისი მდიდარი ბუნებრივი და ნიადაგურ-კლიმატური პირობების, მატერიალური და შრომითი რესურსების, დიდი მეცნიერული პოტენციალის, ყველა შინაგანი რეზერვისა და შეხაძლებლობის რაციონალური გამოყენების საფუძველზე.

ეს საქართველოს კომუნისტებისა და ყველა მშრომელის მთავარი ამოცანაა ეკონომიკის დარგში. მისი თანამიმდევრული გადაწყვეტის მიზნით მეათე ხუთწლედში გათვალისწინებულია დაჩქარებული ტემპით განვითარდეს რესპუბლიკის ეკონომიკა. ეროვნული შემოსავალი 33 პროცენტით გაიზრდება მეცხრე ხუთწლედში მიღწეული 31 პროცენტის ნაცვლად. მრეწველობის პროდუქციის წარმოება გადიდდება 41 პროცენტით, სოფლის მეურნეობისა — 25 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში გაიზრდება — 33 პროცენტით, სოფლის მეურნეობაში — 60 პროცენტით, მშენებლობაში — 29 პროცენტით. ეს მაჩვენებლები მნიშვნელოვნად აღემატება საშუალო-საკავშიროს.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოქმედი საწარმოების მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებას მათი რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების გზით. ამისთვის 53 პროცენტით მეტი ხახრება გამოყოფილი, კიდრე მეცხრე ხუთწლედში.

ამ რთული ამოცანების გადაწყვეტა მოითხოვს, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რესპუბლიკის მთავრობამ, ყველა რესპუბლიკურმა და ადგილობრივმა ხელმძღვანელმა ორგანომ დაძაბულად იმუშაონ, შემოქმედებითად მიუდგნენ საქმეს, სრულყონ სახალხო მეურნეობის დაგეგმვა და მართვის ორგანიზაცია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავის III და IV პლენუმებზე საფუძვლიანად გააანალიზა რესპუბლიკის ეკონომიკის მდგომარეობა და დასკვნა, რომ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების, ყველა ჩვენი სამინისტროსა და უწყების, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა ორგანიზაციების მეცადინეობა უნდა წარმართოთ წარმოების ახალი დამატებითი რეზერვების ძიებისა და რეალიზაციისათვის, უყაირათობის, ნედლეულის, მასალების, ფულადი სახსრების, ხამუშაო დროის გამოყენებაში ფლანგველობის ფაქტების წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისათვის.

განვლილმა პერიოდმა მთლიანად დაადასტურა, რომ სწორი იყო ეკონომიკის ამოცანების გადაწყვეტის ასეთი ტაქტიკა.

რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკებმა ვადამდე — 1976 წლის 24 დეკემბერს დაამთავრეს პროდუქციის რეალიზაციის წლიური გეგმის შესრულება. თანაც გეგმის გადამეტებით სოციალისტური ვალდებულებებით გათვალისწინებული 135 მილიონი მანეთის ნაცვლად რეალიზებულია 141,9 მილიონი მანეთის პროდუქცია. სამრეწველო წარმოების მოცულობა 1975 წელთან შედარებით 5,6 პროცენტით გაიზარდა, გეგმით კი 4,7 პროცენტით უნდა გაზრდილიყო. გადაჭარბებით შესრულდა შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალება. 1975 წელთან შედარებით იგი 4,2 პროცენტით გადიდდა და სამრეწველო პროდუქციის მატების 80 პროცენტზე მეტი სწორედ შრომის ნაყოფიერების ზრდის გზით არის მიღებული.

მიმდინარე წლის პირველი დღეებიდანვე რესპუბლიკის მშრომელები აქტიურად ჩაებნენ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის და შეუდგნენ დიდი ოქტომბრის სახელოვანი იუბილეს აღსანიშნავად ნაკისრი გადიდებული სოციალისტური ვალდებულებების წარმატებულ რეალიზაციას. აშკარად საქართველოს ქალაქისა და სოფლის მშრომელები, რომლებმაც ფართოდ დაუჭირეს მხარი მოსკოვის ოლქის ნარო-ფომინსკის რაიონის პატიოტულ თხოვნობას „ხაიუბილეო ვახტს — დამკვრელური ფინიშს", ცდილობენ არა მარტო შეინარჩუნონ უკვე მოპოვებული პოზიციები, არამედ გავიდნენ ახალ მიჯნებზე და მტკიცე ბაზა შეუქმნან სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებას.

მრეწველობის მუშაკებმა ვადამდე, 25 აგვისტოსათვის, შეასრულეს პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის რვა თვის გეგმა. სამრეწველო წარმოების მატებამ მიაღწია 6,6 პროცენტს, გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 131 მილიონი მანეთის პროდუქცია, რაც წლიური სოციალისტური ვალდებულებების 82 პროცენტს შეადგენს. წლის პირველი ნახევრის დამლევისათვის 489 დასახელების სამრეწველო ნაკეთობანი გამოდიოდა ხარისხის სახელმწიფო ნიშნით. ამავე ხუთეთვიანი წონა სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობაში შეადგენს 5,5 პროცენტს, ანუ ერთ-ნახევარჯერ მეტს, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში იყო.

ძირითადად, წარმოების ზრდა ინტენსიური ფაქტორების — წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით ხდება. მიღწეული წარმატების ერთ-ერთი მთავარი ბერკეტია წარმოების ნოვატორთა შემოქმედებითი ძიება და სოციალისტური შეჯიბრების ფართო განვითარება.

სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპის დაჩქარებასა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას ბევრად შეუწყო ხელი იმან, რომ ფართოდ გავრცელდა პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტისა და თბილისის პირველი მაისის რაიკომის პატრიოტული თაოსნობა „ვიმუშაოთ ისე, რომ არ გვუკადეს ჩამორჩენილი საწარმოები!".

ამ მოძრაობის პრაქტიკული შედეგები აშკარაა. თუ 1972 წელს 261-მა საწარმომ ვერ შეასრულა წარმოების გეგმები, 1976 წელს ეს რიცხვი შემცირდა 55-მდე, ხოლო მიმდინარე წლის 8 თვეში—16-მდე. თუ 1972 წელს ჩამორჩენილმა საწარმოებმა სახელმწიფოს 231,1 მილიონი მანეთის მთლიანი პროდუქცია დააკლეს, 1976 წელს ამ ციფრმა 59,9 მილიონი, მიმდინარე წელს კი მხოლოდ 4,9 მილიონი შეადგინა.

პარტიულმა ორგანიზაციებმა არ უნდა შეანელონ მეცადინეობა მრეწველობის დარგში და ამასთანავე განსაორგანიზებელონ ღონისძიებანი სხვა დარგებში ქუთაისელთა და პირველმაისელთა თაოსნობის გასავრცელებლად, რათა სახალხო მეურნეობის არც ერთ დარგში არ გვუკადეს ჩამორჩენილები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილება რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ საჭიროა დამატებითი ღონისძიებანი, რათა აღმოიფხვრას ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებანი კაპიტალურ მშენებლობაში.

განვლილი პერიოდის მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა ამ დარგში. გაძლიერდა რესპუბლიკური ორგანოების როლი კაპიტალური მშენებლობის გეგმების შემუშავებაში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერთან ხამშენებლო წარმოების ორგა-

(გაგრძელება მე-2 გვერდზე).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

30 სექტემბერს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც განიხილა საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის ინფორმაცია სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგებისა და ამ განხილვის დროს მიღებულ წინადადებათა შესახებ.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა დაახასიათა საყოველთაო-სახალხო განხილვის ზოგადი შედეგები, აგრეთვე ის დაზუსტებანი და დამატებანი, რომლებიც საკონსტიტუციო კომისიის რეკომენდაციით შეტანილ უნდა იქნეს სსრ კავშირის ძირითადი კანონის პროექტში. პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვამ, ხაზი გაუსვა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა, მშრომელთა შენიშვნების გათვალისწინებამ საშუალება მოგვცა გაგვეუმჯობესებინა კონსტიტუციის პროექტი, დაგვეხვეწა ბევრი მისი ფორმულირება, გაგვემდიდრებინა შინაარსობრივად. საკონსტიტუციო კომისიის აზრით, დაზუსტებული და შევსებული პროექტი შეიძლება განსახილველად წარედგინოს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს.

სხდომაზე გამოვიდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე პ. ი. სტრაუტმანისი, პრეზიდიუმის წევრები ნ. ა. ნოვოსიოლოვა და ვ. ი. კონოტოპი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა კმაყოფილებით აღნიშნა ის დიდი აქტიურობა, რომელიც საბჭოთა კავშირის მოქალაქეებმა გამოიჩინეს, ჩვენი ქვეყნის ძირითადი კანონის პროექტის განხილვის დროს, ხაზი გაუსვა ამ განხილვის საქმიან და კონსტრუქციულ ხასიათს. მან თავის დადგენილებაში აღნიშნა, რომ საკონსტიტუციო კომისიამ დიდი მუშაობა გასწია ყველა იმ შენიშვნის განზოგადებისა და განხილვისათვის, რომლებიც გამოგზავნეს მშრომელთა კოლექტივებმა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და ცალკეულმა მოქალაქეებმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოიწონა საკონსტიტუციო კომისიის მიერ წარმოდგენილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტი, რომელიც დაზუსტებული და შევსებულია მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის დროს შემოსული წინადადებების გათვალისწინებით. პროექტი შეაქვთ სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეშვიდე სესიის განსახილველად.

ამავე დროს პრეზიდიუმის სხდომაზე გადაწყდა სხვა საკითხებიც, რომლებიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალ სესიის მოწყობასა და მის განსახილველად შემოტანილი დოკუმენტების პროექტებს ეხება. (საკადესი).

ამზანაგი ა. პ. კირილენკო საქართველოში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ა. პ. კირილენკო, შავი ზღვის სანატორიუმ დასასვენებლად ყოფნისას, ეცნობოდა საქართველოს სსრ რესპუბლიკის ცხოვრებას.

ქალაქ ფოთში ამხ. ა. პ. კირილენკომ დათვალიერა საზღვაო ვაგზალი, იყო ორკონიკიძის სახელობის გემშენებელთა ქარხანაში, დაინტერესდა მისი რეკონსტრუქციის პერსპექტივებით, გამოიკითხა, როგორ მიმდინარეობს ახალი წყალქვეშაფრთიანი ხომალდის „დიდი ალბატროსის" გამოშვების ათვისება. იგი გაეცნო ქალაქის ღირსშესანიშნაობებს, მის ისტორიულ-რევოლუციურ წარსულს და მისი მეურნეობის შემდგომი განვითარების გეგმებს, დათვალიერა სახალხო აკადემიასთან მოწყობილი სამხატვრო გამოფენა.

ჭიათურაში ამხ. ა. პ. კირილენკომ დათვალიერა საკურორტო ზონა, ნაქვეს ჩაის საბჭოთა მეურნეობის პლანტაციები, სადაც გასუკეთებული დაინტერესდა ჩაის ფოთლის კრეფის და ნარგაევების დამუშავების მექანიზაციის საკითხებით, მცირე მექანიზაციის საშუალებების გამოყენებით. ციხისძირის მეცხრეუსეობის საბჭოთა მეურნეობაში იგი გაეცნო მონორელსის მოქმედების ტექნიკურ და ეკონომიკურ მაჩვენებლებს, რომელსაც აქ იყენებენ სატრანსპორტო საშუალებად ციცაბო ფერდობებზე. გამოთქვა სურვილი, რომ საქართველოში მეტი ყურადღება დაეთმოს ასეთ ტექნიკას, რომელიც საუკეთესო მსოფლიო ნიმუშების დონეზე უნდა იყოს.

ამხ. ა. პ. კირილენკომ ბათუმში დათვალიერა ბოტანიკური ბაღი, ზღვისპირა პარკი, საბჭოთა კავშირის თეზნის მეურნეობისა და ოკეანოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექსფედიციური ბაზა.

ოზურგეთში ამხ. ა. პ. კირილენკო ეწვია საწარმოებს, დაწესებულებებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, შეხვდა სოხუმისა და გაგრის მშრომელთა კოლექტივებს, დაწვრილებით გამოიკითხა, თუ რა ეფექტურობენ მოაწყვეს გაგრის მეორეეიობის კომპლექსში. აქ სტუმარს ახსნა-განმარტებას აძლევდნენ საქართველოს კომპარტიის გაგრის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. გ. შ. კვანტალიანი და სოციალისტური შრომის გმირი ამხ. ვ. რ. ბუნიატიძე; იგი დაესწრო გრიბოედოვის სახელობის თეატრის სპექტაკლს.

ბიჭვინთის ტაძარში ამხ. ა. პ. კირილენკო იყო საქართველოს ხელოვნების ოსტატთა კონცერტზე.

ამ შრომის კოლექტივებში, სადაც ამხ. ა. პ. კირილენკო იყო, მათმა ხელმძღვანელებმა, პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკებმა დაწვრილებით გააცნეს სტატო სტუმარს, თუ როგორ სრულდება გეგმები, დიდი ოქტომბრის იუბილეს აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები. ამხ. ა. პ. კირილენკო ესაუბრა მშრომელებს და მის მათ საყურადღებო რჩევა-დარიგება და მითითებანი წარმოების ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების, შრომის ნაყოფიერების ზრდისა ამ საფუძველზე მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების საკითხებზე.

რესპუბლიკის მშრომელთა წარმომადგენლებმა ამხ. ა. პ. კირილენკოსთან შეხვედრების დროს ცხადყვეს, რომ მხურვალედ იწონიან სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიაისის პლენუმზე წაკითხული მოხსენების დებულებებსა და დასკვნებს, გულითადმადლობა მოახსენეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს, ასევე აღფრთოვანებულ საქართველოს სსრ ფინანსიკისა და კულტურის განვითარებისა და კულტურის ბანაკ ლ. ი. ბრეჟნევს, ასევე აღფრთოვანებულ საქართველოს სსრ ... ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისა და კულტურის ... ბებზე.

ამხ. ა. პ. კირილენკო შეხვედრა ... ...

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოხსენება

(გაგრძელება)

ნიზაციათა მობაღწეულობით შეიმუშავა წინადადებანი 1977 წლის გეგმის შესახებ და შეიტანა ისინი საკავშირო ორგანიზაციებში. ამან საშუალება მოგვცა დაგვეძლია წინა წლებში ცალკეული სამშენებლო ორგანიზაციებში არსებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის შემცირების ტენდენცია, გაგვეუმჯობესებინა კაპიტალური მშენებლობის მდგომარეობა.

შარშან საეკსპლოატაციოდ გადაეცა გათვალისწინებული ხანგრძლივი ობიექტების უმრავლესობა. ამასთანავე უკანასკნელი 16 წლის განძილზე პირველად შესრულდა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ყველა ობიექტის — საცხოვრებელი სახლების, სკოლების, საავადმყოფოების, ხანგრძლივ დაწესებულებების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების საეკსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა.

მიმდინარე წლის რვა თვის განძილზე გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ძირითადი ფონდების ამოქმედება გაიზარდა 8 პროცენტით, ათვისებულია 65 მილიონ მანეთზე მეტი კაპიტალური დაბანდება, შესრულებულ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა გაიზარდა 46 მილიონი მანეთით.

ახალი სასწავლო წლის დამდეგისათვის საეკსპლოატაციოდ გადაცემულია 29,7 ათასი მოსწავლისათვის გათვალისწინებული სასკოლო შენობები, რაც 1.200 ადგილით მეტია, ვიდრე ნავარაუდევი იყო წლიური პროგრამით. მნიშვნელოვანი ზრდა მიღწეულია სადავშო სკოლამდელი დაწესებულებების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მშენებლობაშიც. საიუბილეო სამუშაოთა პროგრამა 101 პროცენტით შესრულდა.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის შემდგომი განვითარების, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების დანერგვის მეოხებით გეგმაზომიერად სრულდება „სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მოთხოვნები; თანდათანობით მატულობს მარცვლეულის, ჩაის ფოთლის, ციტრუსების, ბოსტნეულისა და მიწათმოქმედების სხვა პროდუქტების მოსავლიანობა და მოლიანი მოსავალი, იზრდება მეცხოველეობის პროდუქციის; ხორციელდება მუშაობა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადებაში საზოგადოებრივი მეურნეობის ხელფრთი წონის გაზრდისათვის.

რესპუბლიკაში წარმატებით ინერგება სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის ახალი სისტემა. დამზადების სისტემაში წარმოებული რეორგანიზაცია ძალზე მნიშვნელოვანი ღონისძიებაა სოფლად, რაც საშუალებას გვაძლევს გავაფართოოთ და გავაღრმაოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის დემოკრატიული საფუძვლები. ახალი სისტემა ხელს უწყობს საზოგადოებრივ-სახელმწიფო და საკოლმეურნეო მეურნეობის კავშირურთიერთობის განმტკიცებას პირად დამმპრე მეურნეობათან.

პარტიული ორგანიზაციების ამოცანა ის არის, რომ შეუნელებელი კონტროლი დაუწესონ დამზადების ახალი სისტემის თანმიმდევრული განხორციელებისა და ყველა დასახული ღონისძიების წარმატებით შესრულების საქმეს.

მთლიანად რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელები მთელ რიგ დარგებში რეკორდულ მიჯნებს აღწევენ და ამით ღირსეულად აღნიშნავენ დიდი ოქტომბრის იუბილეს. დიდი შრომითი წარმატება სამშობლოს პირველებმა უპატაკეს ჩვენმა მეჩაიელებმა. მათ პირნათლად შესრულეს ნაკიხი ვალდებულებანი, 22 სექტემბრისათვის დაამზადეს 405 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რითაც გადაკაჭარეს მეათე ხუთწლედის დამლევისათვის დასახულ მიჯნას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გულითადი მილოცვა საქართველოს კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებისადმი, სპეციალისტებისა და მეცნიერებისადმი, ჩაის ფაბრიკების კოლექტივებისადმი, პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაკებისადმი, ყველა მშრომელისადმი სახელმწიფოსათვის ჩაის ფოთლის მოყიდვის სოციალისტური ვალდებულებათა წარმატებით შესრულების გამო ყოველ ჩვენგანს ადაფრთოვანებს ახალი შრომითი მიღწევებისათვის. იწვევს უდიდეს სიხარულს, მოსწრაფებას, რომ ახალი წარმატებებით ვუპასუხოთ პარტიის მამობრივ ზრუნვას. პარტიული ორგანიზაციების, ყოველი კომუნისტის, ყოველი მშრომელის უმნიშვნელოვანესი მიზანია ღირსეულად გაამართლოთ ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მიერ გამოთქმული რწმენა, რომ რესპუბლიკა კიდევ უფრო განავითარებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგს და მეტ წვლილს შეიტანს საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის ამაღლების საქმეში.

რესპუბლიკის მეიბრეშუმეებმა წარმატებით გაანაღდეს წლიური დავალებანი და იბრძვიან 18,5 ათას ცენტნერზე მეტი ბრეშუმის პარკის დამზადებისათვის.

დაძაბული მუშაობა წარმოებს მიმდინარე წელს ყურძნის რეკორდული მოსავლისა — 500 ათასი ტონის მისაღებად. ყველა პირობა გვაქვს იმისათვის, რომ შეეხარხლოთ 350 ათასი ტონა ხილის, სულ კოტა 280 ათასი ტონა ბოსტნეულის, 130 ათასი ტონა კარტოფილის დამზადების ვალდებულება. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ წარმატებით შეესრულეთ ხაადრეო კარტოფილის წარმოებისა და დამზადების გეგმა და 35 ათას ტონაზე მეტი ეს პროდუქცია მივაწოდეთ საკავშირო ფონდს. ძალიან კარგი პირი უჭირს ციტრუსების მოსავალს. ყველა პირობა გვაქვს, რომ გადაკარბებით შეესრულოთ 150 ათასი ტონა ციტრუსის დამზადების ვალდებულება. მარცვლეულის დარგში ჩვენი ამოცანაა საშემოდგომო თესვიანთა გეგმის შეუსრულებლობა ხიშინდის ხარჯზე ავინაზღაუროთ.

წარმატებანი გვაქვს მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებაში, საკვებით პირუტყვის უზრუნველყოფაში, მაგრამ წლიური გეგმების და დავალებების შესასრულებლად უფრო სრულად უნდა მოვიყენოთ არსებული რეზერვები, ხორცის წარმოების შარშანდელ დონეს 7,5 პროცენტით, ხოლო კვერცხისას — 10 პროცენტით გადავაჭარბოთ. უნდა დავძლიოთ აგრეთვე ჩამორჩენა ხილოვანი დამზადებისა და ბალახის ფხვნილის წარმოებაში.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობის საქმეში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რესპუბლიკის მსხვილ სამრეწველო საწარმოთა შრომითი კოლექტივების თაოსნობას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის საშიფო დახმარების გაწევაში.

სამრეწველო, ხატარასპორტო, სამშენებლო საწარმოებისა და მეცნიერო დაწესებულებების პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ფართოდ უნდა გაავრცელონ ეს წამოწყება, მჭიდრო კავშირი დაამყარონ სოფლის მშრომელებთან და დაეხმარონ მათ დაკვალიანებულების გადაწყვეტაში.

რესპუბლიკის სამეცნიერო ორგანიზაციებში გაძლიერდა მუშაობა კვლევის ეფექტიანობის გასაადიდებლად და ცხოვრებასთან მეცნიერების კავშირის განსამტკიცებლად. შედგენილია მთელი რიგი ქალაქვადიანი პროგრამები რესპუბლიკისათვის დიდმნიშვნელოვანი მეცნიერო პრობლემების კომპლექსური გადაწყვეტის მიზნით, დინარმობს სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ფუნდამენტალური საკითხების გადასაწყვეტად მეცნიერთა ძალების თავიდან პროცესი.

ბარკვეული პოზიტიური ძვრები ხდება ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ენდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს. მისი მომზადებისა და ჩატარების შემდეგ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან ერთად მიიღო რამდენიმე დიდმნიშვნელოვანი დადგენილება, რომელთა მიზანია მომსახურების ხარისხის ამაღლება, ფართოდ ფართოვდეს საყოფაცხოვრებო მომსახურების ფორმები. ეს ეფექტიანი ფორმა ეფექტიანი ფორმა ეფექტიანი ფორმა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოხსენება

(დასასრული)

და ვაწარმოოთ სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, მეათე ხუთწლედის დავალებათა რეალიზაციისათვის.

ახლა, როცა საქართველოს სს რესპუბლიკის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად რესპუბლიკის ცენტრალური კომიტეტის საქმიანობის ზოგიერთ შედეგს ვაჯამებთ, უნდა ითქვას, რომ, ერთი მხრივ, უფაქტები მოწმობს რესპუბლიკის ცხოვრებაში მოპოვებულ უდავო წარმატებებს, ეკონომიკის, კულტურის დარგის მიღწევებს, კოლექტივებში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებას, კომუნისტური ზნეობის განმტკიცებას, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას, მეორე მხრივ კი წარმატებებთან ერთად ჯერ კიდევ გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებები და ხარვეზები, ყველა დასახული ამოცანა ჯეროვანი ეფექტიანობით არ ხორციელდება, ხოლო ზოგიერთ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებას ზოგიერთი ორგანიზაცია ცუდად ახრულებს.

საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, უფრო სწრაფი ტემპით ვწყვეტდეთ ძირითად ეკონომიკურ პრობლემას — გამოვასწოროთ საქართველოს სახალხო მეურნეობის ზემოთ აღნიშნული ჩამორჩენა ხაშუალო-საკავშირო დონისაგან. ერთგვარი შემცირების მიუხედავად (1972 წლის 29,9 პროცენტიდან 1976 წლის 22 პროცენტამდე) ეს ჩამორჩენა ჯერ კიდევ ძალიან დიდია.

ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემის გადასაჭრელად საჭიროა კვლავაც სრულყოფილ მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობა, დავუჭვემდებაროთ ამ ამოცანას მთელი ჩვენი ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობა, მთელი ჩვენი ძალ-ღონე და ენერგია. საშუალო-საკავშირო დონისაგან რესპუბლიკის ეკონომიკის ჩამორჩენას მხოლოდ მაშინ ვადგენთ, თუ მტკიცედ ავამაღლებთ შრომის ნაყოფიერებას, უფრო ეფექტიანად გამოვიყენებთ მატერიალურ და შრომითს რესურსებს, გამოვძებნით წარმოების დამატებითს რეზერვებს.

რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებებს, უწინარეს ყოვლისა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, მინისტრთა საბჭოს შრომის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის, ეკონომიკური პროფილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და კათედრების, დარგობრივი სამინისტროებისა და უწყებების, აგრეთვე სამრეწველო საწარმოების პარტიულმა ორგანიზაციებმა უფრო ღრმად უნდა შეისწავლონ მიზეზები და პირობები, რომლებიც მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების ზრდის შედარებით ნელ ტემპს განაპირობებს, შეიმუშაონ ყოველი დარგისა და თითოეული საწარმოს მიხედვით კონკრეტული ორგანიზაციულ-ტექნიკური და ეკონომიკური ღონისძიებანი, რათა გამოძებნონ და მაქსიმალურად გამოიყენონ შრომის ნაყოფიერების ზრდის შინაგანი რეზერვები.

ვერ შეკურიგდებით ისეთ მდგომარეობას, როცა მრეწველობის მთელ რიგ საწარმოთა პარტიული ორგანიზაციები, სამეურნეო ხელმძღვანელები არ ახორციელებენ ქმედით ღონისძიებებს სარეწველო წარმოების ტემპის ზრდისათვის, უშვებენ მდარე ხარისხის პროდუქციას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი საჭიროდ თვლის, რომ ზუგდიდის ფაიფურის ქარხნის, რუსთავის ლითონკონსტრუქციებისა და ფოლად-თუხსამსხმელო ქარხნების და სხვა ამ საწარმოების პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც ხშირად ვერ ასრულებენ სახელმწიფო დავალებებს, აუცილებლად განაზორციელონ გადამწყვეტი ღონისძიებანი პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის, მისი თვითდირებულების შემცირების და შრომის ნაყოფიერების გადიდების გეგმის უთუო შესრულებისათვის.

პარტიული ორგანიზაციები აქტიურად უნდა ებრძოდნენ საგეგმო დავალებების კორეტირება-შემცირების მცდარ პრაქტიკას, რომელსაც ჯერ ისევ შემორთავენ მთელ რიგ საწარმოთა, სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები. კომუნისტები დღენიადაგ უნდა აკონტროლებდნენ არსებული საწარმოო ხიმძლავრეების გამოყენებას, ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში შეიწყნარებელია კომპრომისები და შემრიგებლური დაწოკდებულება.

გვაქვს საფუძველი ხერიოზულად გავაკრიტიკოთ როგორც რესპუბლიკური ორგანოები, ისე ბევრი ადგილობრივი ორგანიზაციაც წარმოების ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების საკითხებში. თუმცა ჩვენ ვისწავლეთ მუშაობა ისე რომ პრაქტიკულად არ გვუკადეს ჩამორჩენილი საწარმოები, მაგრამ ვერა და ვერ ვისწავლეთ ის, რომ მხოლოდ მაღალი ხარისხის პროდუქცია გამოვუშვათ.

სსრ კავშირის სახსტანდარტის მონაცემებით, 1976 წელს რესპუბლიკის მრეწველობას ხარისხის სახელმწიფო ნიშნანი ნარმოებული წარმოებით ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ მე-12 ადგილი ეკავა. მეტად დიდია უატესტაციო პროდუქციის მოცულობა. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში იგი პროდუქციის საერთო მოცულობის 44,1 პროცენტს შეადგენდა და ეს მაჩვენებელი გაუარესდა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. სამინისტროებისა და უწყებების, სამრეწველო საწარმოებისა და გაერთიანებების პარტიულმა ორგანიზაციებმა მეტი მომთხოვნელობა უნდა გამოიჩინონ კომუნისტებისადმი, რომლებიც პასუხს აგებენ ტექნოლოგიური დისციპლინის უზრუნველყოფისა და დაცვისათვის, უმაღლესი კატეგორიის ხარისხის პროდუქციის წარმოების მოცულობის გადიდებისათვის, ისეთი ახალი პროდუქციის შემუშავების, დანერგვისა და ათვისებისათვის, რომელიც არ ჩამოუვარდება საუკეთესო საბჭოურ და მსოფლიო ნიშუებს.

მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის წარმატებული ბრძოლა რესპუბლიკის თითოეული შრომითი კოლექტივის, ჩვენი მეცნიერებისა და სპეციალისტების, ყველა სამინისტროსა და უწყების, ყველა კომუნისტისა და კომკავშირელის, ყველა მშრომელის საბრძოლო ამოცანაა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს რწმენას, რომ საანგარიშო-საარჩევნო კრებები პროდუქციის ხარისხისათვის, საქართველოში დამზადებული ყოველი ნაწარმის მაღალი მარკისათვის, წარმოების ყველა ხარისხობრივი მაჩვენებლის ზრდისათვის ბრძოლის ნიშნით ჩაივლის.

კვლავ დაძაბულია კაპიტალური მშენებლობის მდგომარეობა. კაპიტალური დაბანდების კონცენტრაციის დონე საკმაოდ მაღალი არ არის, ხახრები დაჭაჭულია ბევრ ობიექტზე, მშენებლობის ვადები აღემატება დადგენილ ნორმებს, იზრდება დაუმთავრებელი მშენებლობის, მოცულობა. თანამდროვე მოთხოვნებს არ პასუხობენ სამშენებლო საშუშაოთა ხარისხი, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ხარისხი. ხელი ტემპით ინერგება ბრიგადული სამეურნეო ანგარიში, ხაკადური მშენებლობის ორიოლელთა მეთოდი. იმ მშენებლობებზე, სადაც ჯეროვნად არ არის ორგანიზებული შრომა, სამუშაო დროის დანაკარგებს სხვადასხვა წამატებით ჩქმალავენ.

მძიმე მდგომარეობა შეიქმნა მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ასამუშაებელი ობიექტების მშენებლობაზე. მიმდინარე წლის 8 თვეში 9 თვის გეგმით გათვალისწინებული 19 ობიექტიდან მხოლოდ ერთი გადაეცა საექსპლოატაციოდ. ბევრ მშენებლობაზე საჭირო რაოდენობით არა აქვთ ტექნოლოგიური მოწყობილობა, საშენი მასალები, აკლიათ მუშახელი.

სამშენებლო ტრესტებისა და სამმართველოების, საპროექტო ინსტიტუტებისა და ბიუროების, კაპიტალური მშენებლობის შემკვეთების პირველადმა პარტორგანიზაციებმა გადაჭრით უნდა გარდაქმნან მუშაობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად და გააძლიერონ ადმინისტრაციის სამეურნეო საქმიანობისადმი პარტიული კონტროლი, მიაღწიონ იმას, რომ რაც შეიძლება მალე აღმოიფხვრას ნაკლოვანებანი და ხარვეზები მშენებლობაში, უზრუნველყონ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მაღალი ხარისხი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი წუხს იმის გამო, რომ რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მიღწეული დადებითი შედეგების ფონზე ჯერ კიდევ ბევრი გადაუჭრელი პრობლემა და სიძნელეა.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყველა პირველადი პარტორგანიზაცია და სამეურნეო ხელმძღვანელი როდი იბრძვის მტკიცედ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მკვეთრი გადიდებისათვის. წელს ყვარლის, ლაგოდეხის, თიანეთის, ადიგენის, ასპინძის, საგარეჯოს, საჩხერის რაიონებს მეურნეობებმა მარცვლეულის მცირე მოსავალი მოიწიეს. ხილისა და ბოსტნეულის დამზადებაში სერიოზული ჩამორჩენის აღსაკვეთად ქმედითი ღონისძიებანი უნდა განახორციელონ სამხრეთ ოსეთის, კასპის, თეთრი წყაროსა და მთელი რიგი სხვა რაიონების მეურნეობათა პარტიულმა ორგანიზაციებმა.

რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში დამაკმაყოფილებლად ვერ სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის გადაწყვეტილებანი, რომელმაც საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღმავლობის ფართო პროგრამა დასახა. სოფლის მეურნეობის ამ დიდმნიშვნელოვანი დარგის განვითარება ცალკეულ რეგიონებში უთანაბრად მიმდინარეობს. ბოლნისის, ბორჩალოს, ცხაკაიას, წულუკიძის, ლენინგორის რაიონებში შემცირდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა, ყაზბეგის, თიანეთისა და ხიდისფის რაიონებში კი ცხვრის სულადობა. რიგ რაიონებში დაძაბული მდგომარეობა იქმნება მეცხოველეობის ზოგიერთი პროდუქციის დამზადების სახელმწიფო დავალებების შესრულებასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ წელს საკვების ჭარმოების ხელსაყრელი პირობები აქვთ, რესპუბლიკის ყველა რაიონი, კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა როდი ზრუნავს მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, მეცხოველეობის საწარმოების, სამექანიზაციო, სამშენებლო და სამელიორაციო ორგანიზაციების, სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციისა და სამეცნიერო დაწესებულებების აპარატის პარტიული ორგანიზაციების ყურადღებას მიაყურობს იმას, რომ საკვრო საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე უაღრესად ვულდასმით და პრინციპულად განიხილონ ამ საკითხების მთელი კომპლექსი, რომელნიც უზრუნველყოფენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, ქმედითი ღონისძიებანი განახორციელონ ჩამორჩენილ უბნებზე და დარგებში საქმის გამოსასწორებლად, ყველა მაჩვენებლის მიხედვით დასახულ დავალებათა შესასრულებლად. გადაჭრით უნდა აღიკვეთოს ის ფაქტი, რომ ზოგიერთი პირველადი პარტორგანიზაცია ჯეროვნად არ აფასებს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების დიდ მნიშვნელობას. მათ მეტი სიმტკიცე, პრინციპულობა და მომთხოვნელობა უნდა გამოიჩინონ ყველა ხელმძღვანელი მუშაკისადმი, თითოეული კომუნისტისადმი, ყოველი მეურნეობის საქმის ვითარებისათვის.

ჯერ კიდევ ბევრი გადაუჭრელი პრობლემაა მომსახურების სფეროში. ბევრობის საწარმოებისა და სამინიმალური მეურნეობის, საყოფაცხოვრებო სამსახურისა და სამედიცინო დაწესებულებების კომუნისტთა საბრძოლო ამოცანაა ყოველნაირად აამაღლონ მომსახურების კულტურა, მტკიცედ იბრძოლონ დადგენილი წესების არსებულ დარღვევათა აღმოფხვრისათვის, მიაღწიონ იმას, რომ თითოეული მუშაკი დაუფლებული იყოს მაღალ პროფესიონალიზმს, გულისხმიერებითა და ყურადღებით ეკიდებოდეს ადამიანთა მოთხოვნილებებს.

ყველგან მაღალი უნდა იყოს პარტიული ორგანიზაციების პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის, შრომითი კოლექტივების ცხოვრების ყველა მხარეზე მათი გავლენის დონე. ყოველ უბანზე — მატერიალური წარმოების სფეროშიც, მომსახურების სფეროშიც, ადამიანთა ხელიერი ცხოვრების სფეროშიც უკომპრომისოდ უნდა ვიბრძოლოთ სანიმუშო [illegible]ებისათვის, მაღალი დისციპლინისა და კულტურისათვის. ვერ შეკურიგდებით იმას, რომ ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია ჯეროვნად არ იბრძვის კერძოსაკუთრული ტენდენციების, მუქთახორობის, სოციალისტური ქონების დატაცების, უყაირათობის, მფლანგველობისა და სხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ. ჯერ კიდევ გვხვდება კომუნისტური მორალისა და ზნეობის ნორმებიდან, სოციალისტური ცხოვრების წესის მოთხოვნებიდან გადახვევები. ჯერ კიდევ ყველგან ორგანიზაციული და იდეოლოგიური მუშაობა მეტიდროდ არ უკავშირდება სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტას. ზოგჯერ იმის მაგვრად, რომ უზრუნველყოფ მწყობრი პოლიტიკური მიმართულება, ორგანიზებულობა, მუშაობაში პრაქტიკული შედეგების მიღწევა, გადაყოლილ არიან ქაღალდების, განკარგულებების, დადგენილებების წერას, უმაქნის სხდომებსა და თათბირებს.

ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციაში ირღვევა ხელმძღვანელობის კოლექტიურობის პრინციპი, დაკნინებულია პარტიული კრებების, როგორც კომუნისტთა აღზრდის სკოლის როლი, სათანადო ყურადღება არ ეთმობა ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებებისა და საკუთარი დადგენილებების შესრულების კონტროლსა და შემოწმებას, სკკპ რიგების თვისებრივ ზრდას, ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ კრიტიკასა და თვითკრიტიკის განვითარების დონე პირველად პარტორგანიზაციებში ჯერ კიდევ არ არის საკმარისი და პარტიული ორგანოების მუშაობა ამ მიმართულებით ჯეროვრობით მთლიანად არ შეესაბამება სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილების მოთხოვნებს. უკანასკნელ ხანს გამოვლინდა ბევრი ფაქტი, როცა ცალკეული კომუნისტები თავიანთი უდარდელობით, პასიურობითა და უპრინციპობით ხელს უწყობდნენ ნეგატიური პროცესებისა და მოვლენების გამოცოცხლებას. ასე იყო მარნეულის რაიონის შულავრის მატყლის პირველადი დამუშავებისა და თექის ფაბრიკის, მთავარმომარაგებაგასაღების, თბილისის საიუველირო ქარხნის, წალკის რაიონის ბაშქოის საბჭოთა მეურნეობის, თეთრი წყაროს რაიონის თეთრი წყაროს საბჭოთა მეურნეობის, ქალაქ რუსთავის ლითონკონსტრუქციების ქარხნისა და მთელ რიგ სხვა პარტორგანიზაციებში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ სათანადო დონეზე ვერ დგას კრიტიკა და თვითკრიტიკა, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლისა და შემოწმების ორგანიზაცია ზოგიერთი სამრეწველო საწარმოს, სამედიცინო დაწესებულების, მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების, სამინისტროებისა და უწყებების აპარატების პარტორგანიზაციებში.

თითოეულ პარტორგანიზაციაში უნდა შეექმნათ საქმიანი, პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის, მაღალი მომთხოვნელობისა და მომკითხველობის, ყოველგვარი დარღვევისადმი, კომუნისტთა საძრახისი საქმისა და ქცევისადმი შეურიგებელი დამოკიდებულების ვითარება. საჭიროა მტკიცედ ჩავუნერგოთ თითოეულს და განსაკუთრებით ხელმძღვანელ კადრებს პარტიული დამოკიდებულება კრიტიკისადმი, რათა იგი ქმედითად უწყობდეს ხელს მუშაობას, რათა აშკარად და ვიუკაცურად აღიარონ დაშვებული შეცდომები, რათა ადამიანები, რომლებიც კრიტიკულ შენიშვნებს გამოთქვამენ, მტკიცედ იყვნენ დარწმუნებული, რომ ამ კრიტიკაზე სწორ რეაგირებას მოახდენენ.

რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არის კადრების შერჩევისა და განაწილების ლენინური პრინციპებიდან ცალკეული გადახვევის შემთხვევები, დაძლეული არ არის ფორმალიზმის ელემენტები კადრების რეზერვთან მუშაობაში, ამ ნაკლოვანებებისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში მწვავედ იყო გაკრიტიკებული პარტიის ვანისა და წულუკიძის რაიკომების მუშაობა.

კვლავაც შეურიგებელი იქნება ბრძოლა პროტექციონიზმის წინააღმდეგ კადრების საკითხების გადაწყვეტაში. უკანასკნელი წლის მანძილზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში ორჯერ ვიმსჯელეთ ხელმძღვანელ შუშაკებზე, რომელნიც უგულებელყოფდნენ დადგენილებს რესპუბლიკაში პროტექციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, დამნაშავეებს მკაცრი პარტიული სასჯელი დაედოთ და ზოგი პარტიის რიგებიდანაც კი გაირიცხნენ. მაღალი პრინციპულობის, უკომპრომისობისა და მომთხოვნელობის, აბსოლუტური ობიექტურობისა და სამართლიანობის სულისკვეთება უნდა სუფევდეს თითოეულ პარტიულ ორგანიზაციაში მუშაკთა დაწინაურებისა და გადაყვანის საკითხის გადაწყვეტის დროს.

როგორც უკვე აღინიშნა, დისციპლინის განმტკიცებისათვის რუსთაველ მეტალურგთა პატრიოტულ თაოსნობას ფართოდ დაუჭერა მხარი რესპუბლიკის ყველა კომუნისტმა, შრომელმა. მაგრამ ჯერ კიდევ არის ორგანიზაციები, რომლებსაც ვერ გაუგიათ ახალი მოთხოვნების არსი და საქმეს ფორმალურად უდგებიან. ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სპეციალური მსჯელობის საგნად იქცა საკითხი პარტიის ლაგოდეხის რაიკომის საქმიანობის შესახებ, რომელსაც ამ მხრივ ხერიოზული შეცდომები ჰქონდა.

პარტიული, სახელმწიფო, შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცება — ეს ერთდროული, ხანმოკლე კამპანია კი არა, განსაკუთრებული მნიშვნელობის პრინციპული საკითხია. დღენიადაგ უნდა ვაწარმოოთ მტკიცე უკომპრომისო ბრძოლა დისციპლინის ყოველგვარი დარღვევის წინააღმდეგ. ყველგან ისეთი ვითარება შევქმნათ, რომელშიც საზოგადოებრივი ინტერესი მუდამ პირადზე მაღლა იქნება დაყენებული, როცა თითოეული მუშაკი მაქსიმალურად ეცდება საერთო საქმის შესრულებას.

მუშაობაში ხაგრძნობი დადებითი ძვრების მიუხედავად, ჯერ კიდევ ბევრი გადაუწყვეტელი პრობლემა დგას რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების, მათი პარტიული ორგანიზაციების წინაშე. ბოლო უნდა მოვუღოთ სახამრთლოსა და პროკურატურის, შინაგან საქმეთა ორგანოების საქმიანობაში ჯერ კიდევ არსებულ სოციალისტური კანონიერების დარღვევების, ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების. საბჭოთა ადამიანების საჭიროებისა და მოთხოვნებისადმი უყურადღებო დამოკიდებულების ფაქტებს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ადმინისტრაციული ორგანოების კადრების სწორი შერჩევის საკითხებს, მივაღწიოთ, რომ მათში მუშაობდნენ მხოლოდ უაღრესად პატიოსანი და გულისხმიერი, საბჭოთა საზოგადოების ინტერესებისადმი უსაზღვროდ ერთგული ადამიანები, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

მეათე ხუთწლედში რესპუბლიკის წინაშე დასმული დიდი და პასუხსაგები ამოცანები თითოეული პარტიული ორგანიზაციისაგან მოითხოვენ კიდევ უფრო სრულყონ სამეურნეო და ს-ციალურ-კულტურული მშენებლობის პარტიული ხელმძღვანელობის სტილი და მეთოდები, გააძლიერონ ორგანიზაციულ-პარტიული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა, განამტკიცონ თავიანთი ბრძოლისუნარიანობა, აამაღლონ კომუნისტთა ავანგარდული როლი.

ამას უნდა დაეჭვემდებაროს პარტიულ ორგანიზაციათა მთელი საქმიანობა, მთელი მზადება მათი ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი ეტაპისათვის — საანგარიშო-საარჩევნო კრებებისათვის. საჭიროა, რომ თითოეულმა კრებამ ჩაიაროს მაღალ ორგანიზაციულ და პოლიტიკურ დონეზე, ნამდვილი საქმიანობისა და კონკრეტულობის ვითარებაში, როცა ღირსეულად აღინიშნება მიღწეული, სერიოზულად და საგნობრივად იქნება გაკრიტიკებული არსებული ნაკლოვანებანი, განისაზღვრება მომავლის ახალი, უფრო მაღალი მიჯნები.

დასახული გეგმებისაგან ყოველი ჩამორჩენის მარტოოდენ კონსტატაცია როდი საკმარისი. ამოცანა ის არის, რომ რაც შეიძლება სრულად გამოვავლინოთ ჩავარდნების მიზეზები, ყოველმხრივ განვსაზღვროთ საქმის გაუმჯობესების ღონისძიებანი. ახლა მეათე ხუთწლედის მეორე წლის ფინანსის სწორზე უფრო სწრაფად უნდა წამოვწიოთ სუსტი უბნები, კონკრეტული დახმარება გავუწიოთ იქ, სადაც ეს საჭიროა, მკაცრად მოვკითხოთ უყაირათობისათვის, მოდუნებისათვის, დავრაზმოთ ისინი, ვინც ვალდებულება შეასრულა და მუშაობას უკლო.

დიდი შრომითი მგზნებარება, საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა, დარაზმულობა და ორგანიზებულობა დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისა და კომუნისტურ მშენებლობაში ახალი მიჯნების მიღწევის საწინდარია. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს მომავლის ხაინტერესო და მრავალმხრივი გეგმები აქვს. დასახულია ბევრი რამ, რაც ხელს შეუწყობს ახალ წარმატებათა მიღწევას რესპუბლიკის ეკონომიკური და სულიერი ცხოვრების სულ სხვადასხვა დარგებში.

ეკონომიკის დარგში გათვალისწინებულია სსრ კავშირის სახსტანდარტთან ერთად მოეწყოს სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად პროდუქციის ხარისხის ამაღლების პრობლემებზე. მზადდება ცენტრალური კომიტეტის პლენუმები სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის და რესპუბლიკაში კაპიტალური მშენებლობის და საშენ მასალათა წარმოების გაუმჯობესების საკითხებზე. დასახულია აგრეთვე საფუძვლიანად, მეცნიერული პოზიციებიდან განხილონ ბუნების და გარემოს დაცვის საკითხი.

მეცნიერების დარგში მიღებულია გადაწყვეტილება მოეწყოს რესპუბლიკური თაობირი მეცნიერული კვლევის ეფექტიანობის ამაღლების და სახალხო მეურნეობაში მისი შედეგების დანერგვის დაჩქარების პრობლემებზე. 1978 წელს გათვალისწინებულია გაიმართოს უმაღლესი სკოლის მუშაკთა პირველი ყრილობა.

იდეოლოგიის, კულტურის, ადამიანთა აღზრდის დარგში გათვალისწინებულია, რომ ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთი პლენუმი მიეძღვნას სკკპ XXV ყრილობის მიერ შემუშავებული იდეოლოგიური პროგრამის განსახორციელებლად რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის გაუმჯობესების საკითხების განხილვას, აგრეთვე გაიმართოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება შრომელთა კომუნისტურ აღზრდაში კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების როლის გაძლიერების პრობლემებზე. მთელი რიგი ღონისძიებანი განხორციელდება სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის შესაბამისად საბჭოთა ადამიანის პიროვნების ფორმირების პრობლემასთან დაკავშირებით. მზადდება ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი კერძომესაკუთრულ ტენდენციათა წინააღმდეგ და მშრომელთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებებისადმი ბიუროკრატიული დამოკიდებულების გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის დარგში გათვალისწინებულია მოეწყოს პარტიული კომიტეტების მდივნების სემინარები სკკპ XXV ყრილობის მითითებათა შესაბამისად პარტიული მუშაობის სტილისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფის საკითხებზე, აგრეთვე მეცნიერულ საფუძველზე იქნეს შესწავლილი კადრების სრულფასოვანი რეზერვის შექმნის, მათი გეგმაზომიერი მომზადებისა და აღზრდის პრობლემა.

უახლოესი მომავლისათვის დასახულ ღონისძიებათა ამ არასრულ ნუსხის წარმატებით რეალიზაციაში მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანოს რესპუბლიკის ყველა პარტიულმა ორგანიზაციამ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, ყველა კომუნისტს მოუწოდებს მაღალი პარტიული პრინციპულობისა და მომთხოვნელობის პოზიციებიდან განიხილონ საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე პარტბიუროებისა და მდივნების საანგარიშო მოხსენებანი, ცენტრალური კომიტეტის ე[illegible] მოხსენება, ყოველმხრივ გააანალიზონ სამეურნეო საქმიანობა შრომითი კოლექტივების ცხოვრების პარტიული ხელმძღვანელობის დონე, დაამტკიცონ, რომ გული შესტკივათ რაიონული, საქალაქო, რესპუბლიკური, საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემების გადაწყვეტისათვის, შეიმუშაონ პრაქტიკულ ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებას.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის, ჩვენი ხალხის ცხოვრებაში უდიდესი მოვლენის — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესიის მიერ ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ახალი ძირითადი კანონის მიღების ღირსშესანიშნავ პერიოდში თითოეულმა კომუნისტმა, თითოეულმა პატიოსანმა მშრომელმა ზუსტად უნდა განსაზღვროს თავისი ადგილი, თავისი წვლილი სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა, მეათე ხუთწლედის დიად დავალებათა შესრულებისათვის [illegible] ყოველთაო-სახალხო ბრძოლაში.

500.000 ტონა ყურძენი
—საამშობლოს მაქანში!

რეკორდს — ტემპი!

„სამბრესტის“ ცნობებით მოკრეფილია 20 სექტემბრისათვის (ტონა)

რაიონები	გეგმა	ადგილობრივი ლიმიტი	29 სექტ. მოიკრიფა	მოკრეფილი რიგის დასაწყისიდან
გურჯაანის	88000	100000	16	78309
თელავის	53500	55000	—	43899
სიღნაღის	31000	35000	—	25060
ყვარლის	29000	32000	—	20736
ახმეტის	26000	26000	152	16008
საგარეჯოს	20310	23000	4	10251
წითელწყაროს	19000	22000	220	22047
მარნეულის	16150	16500	50	15757
გოლნისის	10000	11000	84	11209
გარდაბნის	9000	9500	31	3934
ლაგოდეხის	9000	9000	—	5682
მცხეთის	9000	9000	337	2077
ზესტაფონის	21050	26000	—	204
თერჯოლის	17300	22000	3	120
მაიაკოვსკის	14500	16000	1	167
საჩხერის	5500	6200	146	443
ხაშურის	5310	5310	88	339
წყალტუბოს	3300	3600	—	59
ჩოხატაურის	2400	2600	—	187
სამტრედიის	1700	2100	—	16
დუშეთის	1850	1850	6	48
თეთრი წყაროს	1500	2000	125	1233
სულ საქართველოში	455000	500000	1278	258134

ჭიათურაში დამზადებულია 20 ტონა, წულუკიძეში — 26 ტონა, მახარაძეში — 23 ტონა, ტყიბულში — 6 ტონა, ლანჩხუთში — 7 ტონა.

გეგმის გადაჭარბებით

ბოსტნეულიც, ხილიც...

„**საქსოფლდამზადების**“ მონაცემებით 29 სექტემბრის საერთო-საკავშირო ფონდში გეგმით გათვალისწინებული 35.200 ტონის ნაცვლად გიგზავნა 38.979 ტონა ბოსტნეული, მათ შორის 35.000 ტონის ნაცვლად — 36.922 ტონა კომბოსტო, 200 ტონის ნაცვლად — 1.340 ტონა კიტრი.

ხახვის, ნივრის, ბალჩეული კულტურების კარგი მოსავლის მიღებით შესაძლებელი გახდა, რომ ქვეყნის ჩრდილოეთ რაიონებში დიდი რაოდენობით გაეგზავნათ ეს კულტურები, რაც გეგმით არ იყო გათვალისწინებული. მაგალითად, გიგზავნა 714 ტონა ხახვი, 1.528 ტონა ბალჩეული კულტურა.

გადამარბებით შესრულდა აგრეთვე კარტოფილის, კურკოვანი და თესლოვანი ნაყოფის გაგზავნის გეგმები და ვალდებულებანი. მაგალითად, გეგმით გათვალისწინებული 30 ათასი ტონის ნაცვლად, გიგზავნა 34.720 ტონა კარტოფილი. მარტო ბოლნისის რაიონმა მოსკოვისა და ლენინგრადის მშრომელებს შესაბამისად გაუგზავნა 28.692 და 5.809 ტონა პროდუქცია, რაც მნიშვნელოვნად აღემატება გეგმას.

რესპუბლიკის საზღვრებს გარეთ გაიგზავნა 5.090 ტონა კურკოვანი ნაყოფი — გეგმაზე 90 ტონით მეტი, თესლოვანი ნაყოფი ჯეროვრობით — 15.400 ტონა, სულ გაიგზავნება 65 ათასი ტონა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელები, რომლებიც დგანან სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების სატატეო შრომით ვახტზე, ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა რაც შეიძლება უკეთ უზრუნველყონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება და დამზადება.

(საქინფორმი).

სტუმრად თანამემამულეებთან

ცხინვალი, 30 სექტემბერი. (საქინფორმის კორ.). სამხრეთ-ოსეთის საზოგადოებრიობა გულთბილად და გულითადად შეხვდა სახელგანთქმულ თანამემამულეს — ატომური ყინულმჭრელის „არქტიკის“ კაპიტანს, სოციალისტური შრომის გმირს ი. კუზიეევს.

ეს შეხვედრა საბჭოთა ყინულმჭრელი ფლოტის, საბჭოთა მეცნიერული აზრისა და ტექნიკის გამარჯვებათა ნათელი დღესასწაული იყო. ი. ს. კუზიეევმა შეკრებილთ მოუთხრო ატომური ყინულმჭრელი „არქტიკის“ ეკიპაჟის მზადებაზე ჩრდილოეთი პოლუსის უყინულოანი გზით უმგალითო გაკვალვისათვის, მადლობა გამოთქვა პარტიისა და მთავრობის და პირადად ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევისადმი საბჭოთა ყინულმჭრელ ფლოტზე დიდი ზრუნვისათვის, იმ მაღალი ჯილდოსათვის, რომელიც ატომმავლის ეკიპაჟს მიენიჭა. ი. ს. კუზიეევმა ავტონომიური ოლქის, საქართველოს მშრომელებს გულითადად მიულოცა შრომითი წარმატებები, და, კერძოდ, საიუბილეო შეჯიბრების მეწინავეების, რესპუბლიკ

მთავარი თემა — თანამედროვეობა

ახალი სეზონი — გეგმები, ფიქრები

დღეს, 1 ოქტომბერს 1977-78 წლების სეზონს ხსნიან თბილისის რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრები. ჩვენი გზეთის კორესპონდენტი ესაუბრა რუსთაველის თეატრის დირექტორს ა.ა. ბაქრაძეს და მარჯანიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელსა და მთავარ რეჟისორს გ. ლორთქიფანიძეს.

— ახალ სეზონს, — თქვა ა.ა. ბაქრაძემ, — ვხსნით ბ. ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრით". საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ჩვენი ახალი სპექტაკლების რეპერტუარი კი ასეთია: გრ. აბაშიძის „მოგზაურობა სამ დროში", კ. ბუაჩიძის „ალატინი", ე. გაბრიელოვიჩისა და ი. რაიზმანის „შენი თანამედროვე", ო. ნეილის „სიყვარული ძენწებს ქვეშ", ა. ვამპილოვის „ნადირობა იხვებზე" და შექსპირის „რიჩარდ III". როგორც ცნობილია, რუსთაველის თეატრის წლიური გეგმა 6 სპექტაკლია. სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი ექვსი პიესა იქნება ახალი სეზონის პრემიერები. წელს შარშანდელი სეზონის ორ პრემიერსაც ეუწევენებო, რომელთა წარმოდგენა ვერ მოხერხდა გასულ სეზონში თეატრის კასტროლების გამო. ესენია ნ. დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" და ლ. ქიაჩელის „ბაკი აძბა" (ინსცენირების ავტორი გ. ხუხაშვილი). გარდა ამისა, თეატრი აპირებს გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის საღამოს გამართვას.

გასულ სეზონში თეატრმა დიდი საგასტროლო მუშაობა გასწია. იყო ჯერ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, შემდეგ — მექსიკაში, სეზონის ბოლოს კი — სოხუმში. გარდა ამისა, თეატრი გარკვეულ სამეფო საქმიანობასაც ეწეოდა. ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეებს უჩვენა წარმოდგენა „თავისუფალი თეძა", ხოლო ეროვნულ მუზეუმებს — „კავკასიური ცარცის წრე".

ახალი სეზონის პირველ ნახევარში რუსთაველის თეატრის ძველი მუშაობა მიზნად ისახავს იმას, რომ ღირსეულად შეეხვედეთ დიდი ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავს. წარმოდგენები „ჰაკი აძბა" და „შენი თანამედროვე" სწორედ ამ ისტორიული თარიღის აღსანიშნავად მზადდება. სეზონის მეორე ნახევარში შესაძლებელია რუსთაველის თეატრმა მონაწილეობა მიიღოს ბრეხტის დაბადების მე-80 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონიერებაში.

— თავის 50-ე საიუბილეო სეზონის პირველ წარმოდგენას, — თქვა გ. ლორთქიფანიძემ, — თეატრი უძღვნის თავისი დამაარსებლის, დიდი ქართველი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის ხსოვნას. ამიტომაც, გადაწყვეტეთ გახსნისას წარმოვადგინოთ კ. მარჯანიშვილის ბრწყინვალე სპექტაკლი „ურიელ აკოსტა", რომელიც ვერიკო ანჯაფარიძემ აღადგინა.

წლევანდელი სეზონი მთელი საბჭოთა თეატრისათვის განსაკუთრებულია: ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავი, ჩვენი თეატრის 50-ე წლისთავი. თეატრის ხელმძღვანელობამ ყურადღება გაამახვილა, რომ მარჯანიშვილელთა სცენაზე ფართოდ ყოფილიყო წარმოდგენილი ქართული ორიგინალური დრამატურგია.

ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავს ეძღვნება ი. ჯორჯაძასა და პ. სოტიანოფსკის პიესა „მოხუცი", რომელიც სამამულო ომის მრისხანე დღეებს ასახავს. სპექტაკლს დგამს რეჟისორი ნ. გაჩავა.

თეატრი ამჟამად მუშაობს და პირველ პრემიერად უჩვენებს მ. ელიოზიშვილის კომედიას „ბერიკონს". მისი დამდგმელია რეჟისორი ლ. მირცხულავა. სპექტაკლისათვის მეტად საინტერესო, ორიგინალური მუსიკა დაწერა კომპოზიტორმა ვ. აზარაშვილმა. წლის ბოლოს თეატრი წარმოადგენს სოფოკლეს ტრაგედიას „ოიდიპოს მეფეს". მასზე მუშაობა ჩვენთვის მეტად პასუხსაგებია, რადგან ამ ნაწარმოების დადგმას დიდი ტრადიციები აქვს ქართულ თეატრში. მარტო დიმიტრი ალექსიძისა და არჩილ ჩხარტიშვილის დადგმების გახსენებაც საკმარისია... სპექტაკლის დადგმაზე თვითონ მე ვმუშაობ. ოიდიპოსს განასახიერებს რეპუბლიკის სახალხო არტისტი ო. მეღვინეთუხუცესი. გასული თეატრალური სეზონის საინტერესო მოვლენა იყო გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის სპექტაკლი — ა. კოტეტიშვილის „სათოთის ვაშლი". განხორციელდა ეს ერთ-ერთ ადგილას ქართულ ენაზე. ეს სპექტაკლი ქართულ ენაზეც აჟღერდეს. დამდგმელად მოვიწვიეთ გრიბოედოვის თეატრის მთავარი რეჟისორი ა. ტოვსტონოგოვი.

ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავს მიეძღვნით ა. ჩხაიძის „შთამომავალნის" დადგმას სპექტაკლში მთავარ როლს შეასრულებს ჩვენი დროის გამოჩენილი მსახიობი ვერიკო ანჯაფარიძე. ვამზადებთ ასევეგაზრდა ნიჭიერი დრამატურგის ლ. თაბუკაშვილის პიესას „დედაჩემის საფავარელი ვალსი". ამ სპექტაკლში მთავარ როლს რესპუბლიკის სახალხო არტისტი მედეა ჯაფარიძე შეასრულებს.

ჩვენი აზრით, მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე მუდამ უნდა იდგეს ამ თეატრის ერთ-ერთი დამაარსებლის, გამოჩენილი ქართველი დრამატურგის პ. კაკაბაძის პიესები. ეაკეთ ორმოცდამეათე სეზონში თეატრმა რეპერტუარში შეიტანა პ. კაკაბაძის ისტორიული დრამა „ბაკარატ მეშვიდე". როგორც ხედავთ, თეატრის რეპერტუარი საინტერესოა. ჩვენი მიზანია თანამედროვეობა ავსახოთ სცენაზე და მომხიზენი მაყურებლის წინაშე ეს წარვდგეთ, როგორც ეს დიდი მარჯანიშვილის სახელობის თეატრს შეეფერება.

ზერილი რედაქციას

ჩვენ, ფერეიდნელ ქართველთა ერთ ჯგუფს, წმიდა მამულიშვილურ მოვალეობად მიგვაჩნია მოგმართოთ ამ წერილით.

ხუთი წელი გავიდა, რაც ფეხი დავდგით და დავმკვიდრდით მამაპაპათა მიწაზე — ქართულ მიწაზე. ეს იყო დაუვიწყარი დღე ჩვენს ცხოვრებაში. ჩვენ წილად გვხვდა ბედნიერება პირველნი დავბრუნებოდით მიწა-წყალს, საიდანაც რამდენიმე საუკუნის წინათ ძალმომრეობით აგვყარეს და უცხო ქვეყანაში გადაგვასახლეს. მას შემდეგ თითქმის ოთხასი წელი გავიდა, მაგრამ ფერეიდნელ ქართველობას არასოდეს არ დავიწყნია თავისი ნამდვილი სამშობლო, ჩვენს დღეებამდე შემოინახა მშობლიური ენა, მრავალი სიდუხჭირისა და იძულების ვითარებაშიც შეინარჩუნა, თაობიდან თაობას გადასცა პირველ ფერეიდნელთაგან დაგდებული ანდერძი, რომ არ შევრიგებოდით სხვათა მონობას, გვებრძოლა დედასამშობლოს წიაღის დაბრუნებისათვის.

ამ ხანგრძლივ და გმირულ ცდას მრავალი ღირსეული მამულიშვილი შეეწირა როგორც ფერეიდნიდან, ისევე დედასაქართველოდან. ჩვენს გათიშვას ათასნახევარი საშუალებებით ცდილობდნენ მტრები, მათ შორის თვით ფერეიდნელთა შორის გაჩენილი მოღალატეები. მათ არაერთხელ ჩაფუშეს დიდი სამშობლოსთან „პატარა საქართველოს" — ფერეიდანის ურთიერთობის საქმე, მათვე ამამდენჯერმე დაგვიხურეს დიდი ალბანელი ქართული სკოლა. მაგრამ ჩვენ მაინც არ ტყდებოდით, მაინც არ დაგვიგია ჩვენი პატრიოტული რწმენა, ავიწყებისათვის არ გაგვიყოლია მშობლიური ენა, არ დაგვიარგავს მამა-პაპათა მიწაზე დაბუნების იმედი. ბოლოს, როგორც იქნა, აღსრულდა! სამშობლაკენ დაიძარა ფერეიდნელთა პირველი ნაკადი, რასაც, უთუოდ ლი შეუწყო ჩვენი დიდი ქვეყანა და ირანის კეთილმეზობლურმა ურთიერთობამ.

სამშობლოს, მთელმა ქართველმა ხალხმა სიხარულითა და სიყვარულით მიგვიღო. ჩვენ დავრუნდით, რომ დიდი ხნით მოწყტელი შვილების მიმართ ჩვენს დულ-მამულს გული არ გაციოა. არც სასხვათაშორისოდ მიღვარო. ყოველ ოჯახს დახვდა ბად გაწყობილი კარმიდამო სართულიანი კეთილნაშენი, ბოთახიანი სახლით, მოგვიზოვენებია ეს სავენახე, გვიგეეს ცხვარ-ძროხა და ფრინველ. ჩვენი შვილებისათვის პირველ გაიღო სკოლისა და უმაესი სასწავლებლის კარი. მათ ვლოსათვის არავინ ახდევინ გადასახადს. ბინაც უფასო ი და ქალაქში საცხოვრებლად არო ტაიპენდიებიც.

ურადღებასა და დახმარებას გვაკლებენ მთავრობის ორგანი, კოლმეურნეობათა ხელმძღონარენი, მეზობლები. ისეთი სამერები გამოვვინახეს, რომ არც ს მოვწყდით და არც შინაუ, თითქმის ყველა ოჯახს ური- და შეუფერხებლად გამოუ- საყიდლად მსუბუქი ავტონები. ზოგიერთმა ორის გა- ვლაც კი მოახერხა. ჩვენ პირ- ად გავიგეთ, თუ რას ნიშ- ნავიანობა და ჩვენი თა- ხრულუფლებიან საბჭოთა ლაქეებად, მამულის ღვიძლ ებად ვცანით.

დასამლია, ჩვენი ხანგრძლი- მკვიდრო-საცხოვრისიდან ზო- თი განსხვავებული ჩვეა და ოვნაც ჩამოგვეკა, არც ის გასაკვირი, თუ ახლებურ ყო- ახალ გარემოს ადამიანი აშად ვერ შეეთვისოს მთლი- ამას დრო და მოთმინება დება, და კარგი გაგებაც. დროს ყოველთვის ჩნდება ებითი საზრუნავი, რომელ- ერაფი მოგვარება ყოველთვის ი ხერხდება სხვადასხვა პი- ს გამო. ზოგჯერ თავს იჩენს ლმანი გაუგებრობაც.

ველი შეგნებული კაცი ასეთ ებს შეხედავს ბრძნულად, არც ცხოვრების თანმხლებ ს, მაგრამ ფერეიდნელნ ჩა- ლთა შორის, სამწუხაროდ, ჩნდნენ ადამიანები, რომელ- ეს წვრილმანები ხელზე დაი- ხვიეს და გაბერეს. მათ ჩვენ არაერთხელ მივეცით მეგობრული რჩევა, მოვუწოდეთ ხელი მოეკიდათ ნამდვილი, ახლებური ცხოვრებისათვის. სხვებსავით ეშრომათ, მაგრამ რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო ვრწმუნდებოდით, რომ ამ რამდენიმე კაცს ჩვენი საერთო საქმე სულაც არ აწუხებს, რაღაც ფარულ ზრახვებს ატარებს გულში. მალე გაამჟღავნეს კიდეც — აქაური ცხოვრება არ მოგვწონს, ისევ ირანში უნდა დავბრუნდეთო.

ჩვენს ეშვებსა და გაკვირვებას უფრო აძლიერებს ის გარემოება, რომ ეს პირები არც ირანში გამოირჩეოდნენ მუყაითობით, რომ აღარაფერი ვთქვათ მათ მამულიშვილურ გრძნობებზე. არ დავშალავთ, ზოგიერთი მათგანი სრულიად მოულოდნელად აღმოჩნდა ჩვენს შორის და ახლობელ-მეგობართა ხარჯითაც კი გამოემგზავრა. და აი, როცა სამშობლოში უველაფერი მზამზარეულად მიერთვათ, უკან დაწყეს ყურება, თავი ქარავსლებისა და დალუპული გემების პატრონებად მოაქვთ. თანაც სხვების გაბრიყვებას, აყოლიებასაც ცდილობენ, რათა ფერეიდნელთა დედასამშობლოში დაბრუნების წმიდა იდეას ჩირქი მოსცხონ, სახელი გაუტეხონ. როგორც ჩანს, აქედან მათ მიერ გაგზავნილმა ცილისმწამებელ ურმა წერილებმა გარკვეული ნაყოფი უკვე გამოიღო. ჩვენ გვიკვირს, რომ სულითა და გულით წამოსულის მსურველნი მრავლად იყვნენ, ბევრს ვიზებიც ჰქონდა, მაგრამ აქამდე არ ჩანან. ეტყობა, ხალხი დაიბნა და დაფრთხა მონაჭორებით. მათ მდგომარეობაში ცუდსა და ტყუილს მეტი გასაკვირი აქვს. რაც ყველაზე სავალალოა, სამშობლოში დაბრუნების მოიმედე ხალხი მასობრივად აიყარა, ფერეიდნის მხარის ქართული სოფლები დაიცარიერდა და ბუდემოშლილი ადამიანები ახლა ქალაქ-ქალაქ დაეხეტებიან თავშესაფრისა და ლუკმაპურის საძებნელად.

ამ ბინძურ, ულირს საქციელს ადამიანები, რომლებიც უკან დაბრუნებაზე გაჰყვიროიან და ამ მიზნით საგანგებოდ შერჩეულ დროს პროვოკაციებსაც კი არ ერიდებიან, პირადი ანგარებით სჩადიან. მათ სულაც არ ადარდებთ თავიანთი სამშობლოს, ხალხისა და თანამოძმეების ბედი, ოღონდ თვითონ მოიგვარონ საკუთარი საქმე. ამტომაც არ თაკილობენ სპეკულაციას, ჩარჩობას, თვალის ახვევას. ამ გზით ზოგიერთ მათგანს უკვე ათიათასობით მანეთი აქვს დაგროვილი, რათა ირანში დაბრუნების შემდეგ მთელი ფული ვალუტად აქციოს, სარფიან საქმეში დაბანდოს და გამდიდრების წადილი ასრულოს. ზოგიერთი გულუბრყვილო, მიმნდობი ფერეიდნელი ამას ვერ ხვდება, ფეხის ხმას აყოლია.

ჩვენ ვხედავთ, რაოდენ სულგრძელობას იჩენს საბჭოთა ხელისუფლება ზოგიერთი ჩვენი ულირსი თანამოძმის მიმართ, როგორი მოთმინებით ცდილობს მათ დაუნებას სწორ გზაზე, მაგრამ სულ უფრო ვრწმუნდებით, რომ ამ ადამიანებს ჯიუტად არ სურთ შეეხმინონ ჩვენი. ახლი აშკარად არცხვენენ ჩვენს დიდებულ ქვეყანას, სახელს უტეხენ თანამოძმეებს, თავიანთი მოქმედებით ძირს უთხრიან დედასამშობლოსთან ფერეიდნელთა სამუდამო შემომტკიცების საშვილიშვილოდ ლ. საქმეს.. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ მათ საქციელს მალე ფარდა აეხდება ყველას თვალში და უცხოეთში დროებით შეყოვნებული ფერეიდნელები მაინც გამოიგნებენ გზას დედასამშობლოსაკენ. ამიტომ ჩვენ, ყველა პატიოსანი ფერეიდნელი ქართველის სახელით, რომლებიც სამუდამოდ დაბრუნდნენ დედასამშობლოს, სამარადუამოდ დამკვიდრდნენ მის მიწაწყალზე, მოვითხოვთ: დაუყოვნებლივ მოვიკეთოთო, გავაძევოთ ულირსნი, რათა ჩვენც არ მოგვადგეს ჩრდილი.

ფერეიდნელი ქართველები:
რომან ონიკაშვილი,
რეზო ონიკაშვილი,
მაჰმუდა ფანიაშვილი,
ჰასან ონიკაშვილი.

პრეტენდენტთა ნახევარფინალური

მსოფლიო პირველობა ბადრაკში

ბოლო „ტაიმ-აუტი"

გუშინ ტალინში უნდა გამართულიყო მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტების მ. ჩიბურდანიძისა და ე. ახმილოვსკაიას ნახევარფინალური მატჩის მორიგი მეათე პარტია. შეხვედრა ორ შემდგარა, რადგან თბილისელმა მოჭადრაკემ კიდევ ერთხელ აიღო „ტაიმ-აუტი", ამით ჩიბურდანიძეს ამოეწურა პარტიების გამოტოვების ლიმიტი, ახმილოვსკაიას კი კიდევ აქვს ერთი „შესვენების" უფლება.

მეათე პარტია ხვალისათვის არის დანიშნული. ანგარიში ოცდაერთდებერად 5:4-ია ახმილოვსკაიას სასარგებლოდ.

ᲧᲐᲜᲓᲘ

მესამე პარტიაში

დასავლეთ ბერლინში გაიმართა მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტების ფატალბეკოვასა და კუშნირის ნახევარფინალური მატჩის მესამე პარტია, რომელიც ყაბით დამთავრდა. წინ არის კუშნირი — 2,5:0,5.

12 დიდოსტატის ტურნირზე

ტილბურგში (ჰოლანდია) გრძელდება საერთაშორისო საკადრო-ტურნირი 12 დიდოსტატის მონაწილეობით.

მესამე ტურში მსოფლიოს ჩემპიონი კარპოვი უყიმზე შეუთანხმდა სოსონკოს (პოლანდია), მეოთხე ტურში კი თეთრებით ეთამაშებოდა მსოფლიოს ექს-ჩემპიონ სპასკოვს. პარტია გადაიდო. უპირატესობა კარპოვის მხარეზე იყო და სმისლოვს ძნელი ბრძოლა მოუღოდა ყიმმისათვის, მაგრამ მან ამ ამოცანას კარგად გაართვა თავი და ყიმს მიაღწია. მეხუთე ტურში კარპოვი ისევე ყიმს დასჯერდა გლეგორიჩთან, ხოლო მეექვსეში მოუგო ბალაშოვს.

ახლა ტურნირის სამი ლიდერი ჰყავს — კარპოვი, ინგლისელი მაღლი და ჰოლანდიელი ტიმანი, რომლებმაც ოთხ-ოთხი ქულა დააგროვეს. სმისლოვსა და ბალაშოვს 2,5-2,5 ქულა აქვთ.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში დიდად პოპულარულია სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „სიმდი".

ანსამბლის მხატვრული ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორია პ. ბიტიევი, ბალეტმაისტერი — ა. ჯაბისოვი.

მალე ანსამბლი „სიმდის" ხელოვნებას გაეცნობიან თბილისელი მშრომელები. შემდეგ ანსამბლი კონცერტებს გამართავს ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში. **სურათზე:** ანსამბლის მოცეკვავეთა ჯგუფი ცეკვავს „სიმდს".

ვ. სოკოლოვის ფოტო (საინფორმის ფოტოქრონიკა).

ფეხბურთი

მეტოქეები გამოვლინდნენ

თბილისის „დინამო" შეხვდება დანიის „კოპენჰაგენს"

თბილისის დინამოელები უეფა-ს თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალის მატჩში 19 ოქტომბერსა და 2 ნოემბერს შეხვდებიან დანიის გუნდს „კოპენჰაგენს". ასე „გადაწყვიტა" ევროპის სამივე სასალო ტურნირის წილისყრამ, **რომელიც** ეი სექტემბერს გაიმართა ციურიხში.

თბილისელთა თანაკლუბელები — მოსკოვის დინამოელები — ამავე დღეებში გამართავენ თასების მფლობელთა თასის მერვედფინალის ორ მატჩს რუმინეთის გუნდთან „უნივერსიტატეა" (კრაიოვა).

ორივე ჩვენი გუნდი პირველ შეხვედრებს საკუთარ მოედანზე გამართავს.

გაცნობებთ სამივე ტურნირის ზოგიერთი საინტერესო წყვილის შემადგენლობებს: ევროპის ჩემპიონთა თასი. „ლივერპული" (ინგლისი)-„დინამო" (დრეზდენი, გდრ), „ლევსკი-სპარტაკი" (სოფია) „ალიქსი" (ამსტერდამი), „ცრვენა ზვეზდა", (ბელგრადი) „ბორუსია" (მენხენგლადბახი, გფრ); თასების მფლობელთა თასი. „ჰამბურგი"(გფრ)-„ანდერლეხტი" (ბელგია), „ლოკომოტივი" (ლაფიციგი)-„რეალ-ბეტისი" (სევილია, ესპანეთი); უეფა-ს თასი. „მაგდებურგი" (გდრ)-„შალკე-04" (გფრ), „აინტრახტი" (მაინის ფრანკფურტი, გფრ) „ციურიხი" (შვეიცარია). (ხაკდესის კორ.).

რეგბი

ჩემპიონი ცნობილია

უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე ცნობილი გახდა ქვეყნის ჩემპიონი — ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის ვუნდი. ოქროს მედლები მათ „უნობათეს" მოსკოველმა რკინიგზელებმა, რომელებმაც გამოტოვებულ მატჩში დაამარცხეს მფრინავების მეტოქე — მოსკოვის მე-2 საათის ქარხნის გუნდი „სლავა" — 15:9.

კვირის შეხვედრები გადაწყვეტს ვეტცლისა და ბრინჯაოს პრიზიორების საკითხს. მოსკოვის „ფილიმ" შეიძლება მეორე ადგილი დაიკავოს („ბრინჯაო" მას უკვე განაღდებული აქვს), თუ დაამარცხებს „სლავას" 30-ზე მეტი ქულის სხვაობით. ახლა „სლავას" 26 ქულა აქვს, „ფილს" — 24. ჩემპიონები (მათ 29 ქულა დააგროვეს) კვირას თბილისის „ლოკომოტივს" ხვდებიან, რომელიც 14 ქულით მეშვიდე ადგილზეა. თბილისის „ლოკომოტივი" 18 ქულით ჯერჯერობით მეცხუთეა.



Ა. ᲜᲝᲚᲐᲘᲓᲔᲚᲘ

ქართველმა მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა — ხანმოკლე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა შრომის წითელი დროშის ორდენოსანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკა-მექანიკის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ქართველ ერის ერთგული შვილი, ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ნოლაიდელი.

ა. ა. ნოლაიდელი დაიბადა 1908 წელს ქობულეთის რაიონის სოფელ წყაროოკაში. ღარიბი გლეხის ოჯახში. ბათუმის საშუალო სპეციალური სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო მოსკოვის პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1935 წელს უმაღლესი სასწავლებლის წარმატებით დამთავრების შემდეგ შეეცადა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში ორგანული ქიმიის სპეციალობით და პარალელურად მუშაობდა ასისტენტად ორგანული ქიმიის კათედრაზე. 1938 წელს ლენინგრადში ა. ნოლაიდელმა წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მან პირველმა საქართველოში შექმნა ორგანული ქიმიის სინთეზის ლაბორატორია, რომელსაც მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა. მალე, 1948 წელს ა. ნოლაიდელმა ლენინგრადში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ორგანული სინთეზის დარგში. 1949 წელს მას მიენიჭა პროფესორის წოდება.

1969 წლიდან პროფესორი ა. ნოლაიდელი სათავეში უდგება მის მიერვე დაარსებულ და შექმნილ [illegible] ნელ დღემდე.

1938 წლიდან 1960 წლამდე იგი სხვადასხვა დროს პარალელურად მუშაობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, გორისა და ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტებში; 1957 წლიდან შეთავსებით მუშაობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ნავთობის ქიმიის ლაბორატორიაში, სადაც ხელმძღვანელობდა ორგანული სინთეზის სპეციალურ ლაბორატორიას. 1961 წელს მიწვეული იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტში, სადაც ჩამოაყალიბა ორგანული სინთეზის სპეცლაბორატორია, რომელსაც ხელმძღვანელობდა წლების განმავლობაში.

პროფ. ა. ნოლაიდელი ერთი იმათგანია, ვინც ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად ეწეოდა ფართო სამეცნიერო მუშაობას. აკადემიაში ქიმიაში მისი შრომები ორიგინალობითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა. დიდია მისი ღვაწლი საქართველოში სილიკონორგანული მოხომეურებისა და პოლიმერების კვლევის საქმეში. მასე ეკუთვნის სინტეტიკური გამოკვლევები ნახშირწყლების ქიმიაში.

პროფესორ ა. ნოლაიდელს გამოქვეყნებული აქვს 220 სამეცნიერო შრომა და ორი მონოგრაფია, რომლებმაც ფართო გამოხმაურება ჰპოვეს როგორც საბჭოთა, ისე უცხოელ მეცნიერთა შორის. იგი ქართულ ენაზე ორგანული ქიმიის პირველი სახელმძღვანელოების ავტორია.

ა. ნოლაიდელის სახით ქართველმა მეცნიერებამ და პედაგოგიურმა საზოგადოებამ დაკარგა გამოჩენილი მეცნიერი, გულისხმიერი აღმზრდელი და ჩინებული მოქალაქე.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო; თბილისის შოთიის ფითილი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტი; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილება; განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი; დ. ი. მენდელეევის სახელობის საკავშირო ქიმიური საზოგადოების საქართველოს განყოფილება.

რედაქტორი დ. მჟელიშვილი.

სიმამაცის კანონებით

ტყიბული, 29 სექტემბერი (საქინფორმის კორ.). სოფელ საწერეში ცეცხლი გაუჩნდა თამაზ ქათამაძის სახლს, სადაც ხუთიშვილი წლის ბავშვები იყვნენ, როგორც კი ხანძარი დაინახეს, კოლმეურნეებმა თ. გუბაშვილმა, ა. გაბრიაძემ, ვ. ქათამაძემ, კ. ლაფერაძემ მაშინვე შემოხვევის ადგილს მიაშურეს. პირველ რიგში მათ ბავშვები გადაარჩინეს, შემდეგ კი ხანძრის ჩაქრობას შეუდგნენ.

თანასოფლელებმა და სახლის პატრონმა თ. ქათამაძემ ფულითადი მადლობა გადაუხადეს მამაც ადამიანებს კეთილშობილური საქციელისათვის.

ᲙᲝᲛᲔᲜᲘᲡᲢᲘ 380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებს—99-93-63, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, ხოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

მუნისტი ინდექს 66443 ᲣᲢ 02300 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

□ 3 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

10.00 — ახალი ამბები (მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში (ფერადი, მოსკოვიდან), 10.30 — მუსტიკალიკაციური ფილმი, 11.00 — დიდი ოქტომბრის 60 წლისთავისათვის სატელევიზიო ფილმი „დიდი გამოცდის წიგნი" — სერიიდან „საბჭოთა საქართველოს მატიანე", 12.00 — მხატვრული ფილმი „ვინ თუ არა შენ?", 17.50 — დოკუმენტური ფილმი „სიტყვა ლენინზე", 18.20 — მოსწავლეთათვის — „მარად ახალგაზრდა", 18.50 — „ვესტნიკი" — საინფორმაციო პროგრამა, 19.10 — ეს ყველამ უნდა იცოდეს, 19.40 — ადამიანი, მიწა, სამყარო — დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრის გაშვების 20 წლისთავის გამო. სტუდიაში — ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი ფრანგი — კოსმონავტი ვ. ი. სევასტიანოვი. (ფერადი, მოსკოვიდან). 20.25 — „მსოფლიოს ქალაქმუზეუმები" (ფერადი), 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — საესტრადო პანორამა (ფერადი), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — საიუბილეო კინორვენება — პირველად ჩვენს ეკრანზე მხატვრული ფილმი „მოქალაქენი" (ფერადი).

□ 4 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

10.55 — საბჭოთა კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეშვიდე სესიის გახსნა. სესია ჯანიხოლავს საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის პროექტს. ტრანსლაცია კრემლის დიდი სასახლიდან. (ფერადი), 17.00 — უმაღლეს სასწავლებლებში მემსვლელთათვის — ქართული ენა, 17.45 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ამირან ტოროტაძე", 17.55 — შევისწავლოთ ინგლისური ენა, 18.25 — მოსწავლეთათვის — კონცერტი, 19.00 — ახალი ამბები (მოსკოვიდან), 19.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ადამიანები, შრომა, შემოქმედება (ფერადი), 19.45 — საბჭოთა კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეშვიდე სესიაზე (მოსკოვიდან), 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — „ბაყარატ მეშვიდე". როგორც ხედავთ, თეატრის რეპერტუარი საინტერესოა. ჩვენი მიზანია თანამედროვეობა ავსახოთ სცენაზე და მომხიზენი მაყურებლის წინაშე ეს წარვდგეთ, როგორც ეს დიდი მარჯანიშვილის სახელობის თეატრს შეეფერება.

□ 5 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

10.30 — დოკუმენტური ფილმი „ლენაჩარსკი—სასალხო კომისარი", 11.25 — მხატვრული ფილმი „დაუცხრომელნი", 15.30 — საბჭოთა კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეშვიდე სესიაზე. (მოსკოვიდან), 17.20 — შევისწავლოთ გერმანული ენა, 17.50 — მოსწავლეთათვის — „ბადაძახილი", 18.10 — დიდი ოქტომბრის 60 წლისთავისათვის — სატელევიზიო ფილმი „ქარცეცხლიან დღეთა ქრონიკა" — სერიიდან „საბჭოთა საქართველოს მატიანე", 11.55 — მხატვრული ფილმი „თერმიტი ამედი" (ქართულ ენაზე), 15.30 — საბჭოთა კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეშვიდე სესიაზე (მოსკოვიდან), 16.30 — კონცერტი, 17.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ლენინური ადგილები სამარაში", 18.10 — „მეათე მუზა" — გერმანულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი (გერმანიის მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დიმილი", 18.15 — კინონარკვევი — „ბრატსკი — ახალგაზრდობის ქალაქი". 18.25 — სატელევიზიო ფილმი „თბილისი", 18.55 — საბჭოთა კავშირის მხატვრული თვითმოქმედების საკავშირო ფესტივალის დასკვნითი კონცერტის ტრანსლაცია კრემლის ყრილობათა სასახლიდან (ფერადი), შესვენების დროს — „მოამბე" საინფორმაციო პროგრამა. 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა, საბჭოთა კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეშვიდე სესიაზე (მოსკოვიდან).

□ 6 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მეშახტეთა სამასი წელი", 10.55 — დიდი ოქტომბრის 60 წლისთავისათვის სატელევიზიო ფილმი „ქარცეცხლიან დღეთა ქრონიკა" — სერიიდან „საბჭოთა საქართველოს მატიანე", 11.55 — მხატვრული ფილმი „ალბერტ ეინეშტეინი" (ქართულ ენაზე), 15.30 — საბჭოთა კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეშვიდე სესიაზე (მოსკოვიდან), 16.30 — კონცერტი, 17.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ლენინური ადგილები სამარაში", 18.10 — „მეათე მუზა" — გერმანულ-ქართული ლი